

# ელექტრონული სწავლების დანერგვის გამოწვევები საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში

## ხატია ტერტერაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ლაბაძე , მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

**ხატია ტერტერაშვილი**

## აბსტრაქტი

ბოლო ათწლეულში, საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებულმა არაერთმა რეფორმამ, ქვეყნაში რეფორმამდე არსებული საგანმანათლებლო პოლიტიკა, ახალი პრიორიტეტებით და მიზნებით ფაქტობრივად ძირეულად შეცვალა. თუმცა, 2020 წელს მსოფლიოში მიმდინარე პანდემიამ, საგანმანათლებლო მოდელის ცვლილების საკითხი საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგში მოულოდნელად და კრიზისული მდგომარეობის პარალელურად დააყენა. შესაბამისად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანამ დაიწყო განათლების მიმართულებით არსებული პოლიტიკის შეცვლა და პანდემიის საპასუხოდ მისი ტრანსფორმაცია. რა თქმა უნდა, გამონაკლისი არ ყოფილა საქართველო და პანდემიის პირობებში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის შესაბამისად, აქტიურად დაიწყო რესურსების მობილიზება სასწავლო პროცესის ელექტრონულ პლატფორმაზე გადასასვლელად.

განათლების სამინისტრომ საზოგადოებას შესთავაზა ახალი და ელექტრონულ საგანმანათლებლო სისტემაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო მოდელი, ონლაინ პლატფორმები და საგანმანათლებლო პორტალები. ამასთან, ინოვაციური პროექტის სახით სამინისტროსთან პარტნიორობით დაიწყო სატელევიზიო საგანმანათლებლო პროექტი „ტელესკოლა“.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი დღემდე ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად რჩება, ბუნებრივია, საჭიროა იმ გამოწვევების კვლევა და ანალიზი, რომელიც დღეს დგას საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგში და რომელიც სამომავლოდ განსაზღვრავს ელექტრონული საგანმანათლებლო სისტემის დანერგვის პერსპექტივებს საქართველოში. ძირითადი გამოწვევები, რომელიც მიმდინარე პროცესების თანხვედრით გამოკვეთა, არის სწორედ თანაბარი ხელმისაწვდომობა და ხარისხი.

შესამაბისად, სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს COVID-19 პანდემიის პირობებში ელექტრონული სწავლების ეფექტიანობის შეფასება, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კვლევის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, სამიზნე ჯგუფებთან საკითხის შესწავლა განხორციელდა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით.

კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა საჯარო პოლიტიკის ძირითადი მიღწევები და გამოწვევები ელექტრონული საგანმანათლებლო სისტემის განხორციელების და დანერგვის პროცესში.

## Abstract

Old-fashioned Georgian educational system has been fundamentally reformed and overhauled by shifting focus towards new priorities and objectives over the past decade. However, due to the outbreak of COVID-19, the issue of educational changes moved to the forefront of political agenda in parallel to the epidemic crisis. In response to this health crisis, governments around the globe began transforming their educational policies. Georgia was no exception to these profound changes and started redirecting its resources towards switching to distance learning.

The ministry of education implemented new educational model based on e-learning, online platforms and educational portals. Also, in association with the national TV station, the ministry of education launched a new project called “TV School”.

Considering the fact that the availability and quality of basic education is still a priority for our nation, it is important to research and assess the challenges facing us and that will evaluate the prospects of successfully establishing an electronic educational system. The quality and equal access to education need to be prioritized.

Therefore, it is the **purpose of our research** to assess the effectiveness of distance learning in the face of COVID-19 pandemic.

In order to fulfill the aims of our research, **qualitative** and **quantitative** analysis has been conducted by observing our target groups.

On the basis of qualitative and quantitative analysis of the outcome of our research, the accomplishments and challenges of Georgia’s public policy in terms of distance learning has been clearly identified.